ხელშეკრულება 10
(მომსახურეობის თაობაზე)

ქ. ჭიათურა 20 ივლისი 2017 წელი

ერთის მხრივ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის გოგა მოდებაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ „ზურაბ ცერცვაძე" შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის სახსრებით მომსახურეობის შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 2. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტია სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადება.CPV 71322100

მუხლი 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3,1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება, რომელშიც შედის მიმწოდებლის ყველა ხარჯები და გადასახადები.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

მუხლი 6 ანგარიშსწორების ვალუტა, ფორმა, ვადები

6.1.შემსყიდველის მიერ მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.3. მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში შესაძლებელია მიმწოდებლისათვის საავანსო თანხის გადახდა.

6.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურეობის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 7. მხარეების უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- გააფრთხილოს შემსყიდველი მომსახურების მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების საბოლოო შესრულებამდე.

მუხლი 10. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

11.2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ჭიათურის მუნიციპალიტეტის ეწერის საჯარო სკოლა მის. ჭიათურა, სოფელი ეწერი საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ს/კ 215606422 ა/ა GE85LB0121181956526000 **დირექტორი** **გოგა მოდებაძე** (ხელმოწერა)	**მ/მ "ზურაბ ცერცვაძე"** **მის. ჭიათურა,** **საბანკო რეკვიზიტები:** **ს/ს ,,საქართველოს ბანკი"** **ბანკის კოდი BAGAGE22** **ს/კ № 54001007845** **ა/ა GE06BG0000000557841300** **ი/მ ზურაბ ცერცვაძე** (ხელმოწერა)